

დადგენილება 13 /2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

დადგენილება № 13 /2020

12 მარტი, 2020

დადგენილება 13/2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის N08 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი შეწყდეს 1 აპრილამდე.
2. დაიკეტოს კონსერვატორიის სამივე შენობა.
3. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს მიმდინარე წლის 12 თებერვლიდან, სალექციო და ინდივიდუალური მეცადინეობები დასრულდეს 9 ივნისს.
4. საბაკალავრო საფეხურზე მისაღები გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 20 ივნისიდან.
5. მაგისტრატურის საფეხურზე მისაღები გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 10 ივლისიდან.

6. საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 10 ივნისიდან.

7. საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი ნაწილის სპეციფიკის გათვალისწინებით 2020 წლის 16 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციურად:

ა) სრული დატვირთვით სალექციო სააუდიტორო მეცადინეობები წარიმართოს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, კომპოზიციის, მუს. ტექნოლოგიის, მუს. ჟურნალისტიკისა და ე.წ. საუნივერსიტეტო ზოგად სასწავლო კურსები - ესთეტიკა, პედაგოგიკა, მეთოდოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნების ისტორია, უცხო ენა, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია; აგრეთვე სასცენო მეტყველების კულტურა), სალექციო ფორმატის არჩევითი კურსები, მუს. ჟურნალისტიკის კონცენტრაციის სასწავლო კურსები, სპეციალობის კურსი კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე, სპეციალობა (ყველა საშემსრულებლო)

ბ) ნაწილობრივი დატვირთვით ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართოს საშემსრულებლო სპეციალობებით (კლავიშანი, საორკესტრო სიმებიანი, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი, აკადემიური გუნდი, ჯაზი) გათვალისწინებული სასწავლო კურსების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ მეცადინეობას, ინდივიდუალური კომპონენტის კომპენსაცია ინტენსიური მეცადინეობების ფორმატში განხორციელდეს სწავლის ჩვეულ რეჟიმში აღდგენისთანავე;

გ) შეზღუდული დატვირთვით ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართოს ინდივიდუალური პედაგოგთან ან/და კონცერტმასტერთან ერთად ჩასატარებელი ჯგუფური, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო მეცადინეობები. დავალებები გაიცეს ელექტრონული საშუალებებით. სწავლება სრულად განხორციელდეს სწავლის ჩვეულ რეჟიმში აღდგენისთანავე;

დ) აღდგენა/ინტენსიური მეცადინეობები სასწავლო კურსებში 16 მარტიდან 1 აპრილამდე პერიოდში წარიმართოს ნაწილობრივი და შეზღუდული ფორმატით, 1 აპრილს, სწავლის განახლებისთანავე ინტენსიურად ანაზღაურდეს დამატებითი მეცადინეობების ხარჯზე, ცხრილში ასახვით და კვირა დღის გამოყენებით.

8. საოპერო სტუდიის მიერ 15-30 მარტის პერიოდში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩასატარებელი სპექტაკლები გადაიდოს საოპერო სცენებით, ორკესტრისა და გუნდის თანხლებით, მაისი-ივნისის პერიოდში, აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდით ორკესტრთან ერთად.

9. აკადემიურ პერსონალს დაეგზავნოს აკადემიური საბჭოს მიერ დისტანციური სწავლების ფორმატის რეალიზებისათვის რეკომენდირებული პლატფორმების სია (რიგ შემთხვევაში ინსტრუქციით) კონსერვატორიის ოფიციალური ელ-ფოსტით.

10. განსახორციელებელ ღონისძიებათა კოორდინირება დაევალოს კონსერვატორიის საშემსრულებლო და მუსიკოლოგიისა და კომპოზიციის ფაკულტეტების დეკანებს თეონა ბუაძესა და მათა ვირსალაძეს; საორკესტრო, ჩასაბერი და აკადემიური სიმღერის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს - თამარ ბულიას, ირაკლი ევსტაფიშვილს დაევალოს ორკესტრის კლასის მიმართულებით სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა.

მონიტორინგი დაევალოს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სპეციალისტს - დავით ხავთასს,

11. IT დეპარტამენტმა უზრუნველყოს დისტანციური სწავლების განხორციელებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არ მქონე აკადემიური პერსონალთა დახმარება.

12. თსკ-ს ხარისხის სამსახურს დაევალოს გამოყენებული სწავლების ფორმატის და შეფასების ფორმების პროგრამის შედეგებთან ურთიერთმიმართების მომზადება და შემუშავება მიმართულების ხელმძღვანელებთან კონსულტაციებით.

13. კონსერვატორიის თანამშრომლები-აკადემიური, მოწვეული პერსონალი, 60 წელზე მეტი ასაკის, ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა მიერ დისტანციურად შესრულებული სამუშაო არ აფერხებს და ხელს არ უშლის თსკ-ს ეფექტურ მუშაობას, გადაყვანილ იქნას დისტანციურ და შეღავათიან სამუშაო რეჟიმზე.

14. თანამშრომლებმა, ვისაც ჰყავთ სკოლამდელი ან სასკოლო (დაწყებითი საფეხურის) ასაკის შვილები, სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებებში არდადეგების დასრულებამდე დაკისრებული მოავლეობები შეასრულონ დისტანციურად.

15. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზებში მარტის თვეში დაგეგმილი ყველა კონცერტი/სპექტაკლი გადაიდოს ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე. შეძენილი ბილეთებით სარგებლობა შესაძლებელია გადატანილ თარიღებში დანიშნულ კონცერტებსა და წარმოდგენებზე.

16. ანაზღაურდეს კონსერვატორიის დიდი დარბაზის სალაროში შეძენილი ბილეთები 1 აპრილის შემდეგ, ხოლო ონლაინ შეძენილი ბილეთები - [www.tkt.ge](http://www.tkt.ge) -ზე.

17. კონსერვატორიის სამივე შენობაში დაშვებულ იქნას მხოლოდ ის თანამშრომლები, რომელთა მხრიდან სამუშაოს შესრულება შეუძლებელია დისტანციურად.

18. კონსერვატორიის შენობაში თანამშრომელთა დაშვებაზე კონტროლი დაევალოს შენობის ადმინისტრატორს, ჩუბინაშვილის ქუჩაზე და ნუცუბიძის ქ. განთავსებულ შენობებში კი შენარჩუნდეს მეხანძრე დარაჯების მორიგეობა.

19. ცნობის გაცემაზე მოთხოვნა განხორციელდეს ელ. ფოსტაზე - [hr@tsc.edu.ge](mailto:hr@tsc.edu.ge)

20. ქართულენოვანი ცნობა მომზადდეს 2 დღეში და განმცხადებელს გაეგზავნოს ელ. ფოსტით.
21. ინგლისურენოვანი ცნობა მომზადდეს 3 დღეში და განმცხადებელს გაეგზავნოს ელ. ფოსტით.
22. კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეჩერება არ იწვევს ადმინისტრაციის მუშაობის შეჩერებას.
23. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
24. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
25. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
26. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე